დანართი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2024 წლის ანგარიში

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-III თავის მოთხოვნათა შესასრულებლად, ამ კოდექსის 36-ე მუხლის თანახმად, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით დადგენილია რაიონულ სასამართლოში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურეები - სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების უფროსი, მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ნინო ჩემინავა, კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების წამყვანი სპეციალისტი, მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - თინათინ შავლაყაძე და საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - სასამართლოს მენეჯერი, პირველი რანგის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ლანა ბერიშვილი.

ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მათ შორის მესტიის, წალენჯიხის და ჩხოროწყუს მაგისტრატ სასამართლოებში) 2024 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 10 დეკემბრამდე პერიოდში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსულია -23 განცხადება:

დაკმაყოფილდა - 9
ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - 8
არ დაკმაყოფილდა -6

ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსულ ყველა განცხადებაზე პასუხი გაცემულია კანონით დადგენილ ვადაში და ინფორმაციის დამუშავების და გადაცემის დროს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირების მხრიდან გადაცდომას ადგილი არ ჰქონია.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე შემოვიდა 2 საჩივარი, რომელიც დარჩა განუხილველი, ვინაიდან საჩივრის განხილვამდე მოთხოვნა დაკმაყოფილდა.

ლანა ბერიშვილი
სასამართლოს მენეჯერი

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

Lana Berishvili
19001009171

Digitally signed by Lana Berishvili
Date: 2024.12.06 15:26:23